


„საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ფუნდამენტადური რეფორმები განახორციელდა“



ბათუმში მიმდინარე თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დევან იზორიამ ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ჯეიმს აპატურაისთან ორმხრივი შეხვედრა გამართა.

დევან იზორიამ ნატოს წარმომადგენელს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში განწევრიანების მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საქართველო, როგორც ადრიანის სტრატეგიული პარტნიორი დემოკრატიულ ფასეულობებსა და საერთო უსაფრთხოების ძარისხმევას იზიარებს. თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საქართველო „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილეობას 2018 წელს გააგრძელებს. ჯეიმს აპატურაიმ ქართულ მხარეს საერთაშორისო მისიაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა.

საუბარი შეეხო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით (SNGP) გათვარისწინებული ინიციატივების იმპლემენტაციის პროცესს და ნატოს გაძლიერებას შავი ზღვის რეგიონში. როგორც დევან იზორიამ აღნიშნა, საქართველომ ამ მიმართულებით თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერებისთვის კონკრეტული შეთავაზებები შეიმუშავა.

თავდაცვის მინისტრმა ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს უწყებაში განხორციელებული რეფორმების შესახებ

მიანოდა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ ტრანსფორმაციის პროცესი ნატოს სტრატეგიული მიზნებისკენ – თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებასა და შეკავების პოლიტიკისკენაა მიმართული.

„თავდაცვის სამინისტრომ, მინისტრის ხელმძღვანელობით, ფუნდამენტალური რეფორმები განახორციელა. ეს რეფორმები ნამდვირად ძარიან წარმატებულია. ჩვენ ძარისხმევას არ დავიშურებთ ხერი შევუწყოთ ამ პროცესს, რომელსაც მხარს უჭერენ მოკავშირეებიც ორმხრივ ფორმატში. ნატო-საქართველოს თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებებს მოიცავს, როგორცაა არსებითი პაკეტი, სწავლებები, მომავალი თანამშრომლობა შავი ზღვის ფორმატში. ბევრი მიმართულებით ვთანამშრომლობთ და ხშირად ვამბობ – ბევრი ნატო საქართველოში და ბევრი საქართველო ნატოში და ეს ნამდვირად ასეა. ვეროდებით ნატოს მინისტრებებს, მომავალ წელს კი, ნატოს სამიტს. ეს ყველაფერი ხელს შეგვიწყობს წინ წავიწიოთ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის გზაზე.“– განაცხადა ჯეიმს აპატურაიმი.